ხელშეკრულება №14

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი ფერია 30 მარტი 2021 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლეილა დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ.მეწარმე:„მარინა გურგენაძე“, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელი მარინა გურგენაძის სახით,, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მხატვრული ლიტერატურის(CPV:22100000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
1.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1091,92(ერთიათასოთხმოცდათერთმეტი ლარი 92 თეთრი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა
მის.ხელვაჩაური, სოფელ ფერია
საიდენტიფიკაციო კოდი 248386697
ს.ს:„ლიბერთი ბანკი“
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა: №GE96LB0121151280056000
ტელ. 25 32 23, 577 30 42 40

_____

დირექტორი ლეილა დუმბაძე

ბ.ა

მიმწოდებელი:

ინდ.მეწარმე:„მარინა გურგენაძე“
მის: გორგილაძის ქ. №53– ა. ბ. 1
საბანკო რეკვიზიტები
სს ,,საქართველოს ბანკი,,
ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენფიკაციო კოდი 61001029223
ანგ № GE03BG0000000127425000
ტელ: 593 22 19 30

მარინა გურგენაძე

ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1.შესყიდვის ობიექტია:

	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო

1	პატარა პრინცი	ცალი	2	6,90	13,80
2	მ/ბ 11-12წ. მარკ ტვენი-უფლისწული და მათხოვარი	ცალი	2	8,90	17,80
3	11-12წ. ნ.დუმბაძე-მე, ბებია, ილიკო და ილარიონი	ცალი	2	8,90	17,80
4	როალდ დალი-ჩარლი და შოკოლადის ქახანა	ცალი	2	7,90	15,80
5	მე მიყვარს კიტხვა--მსოფლიოს მიტები	ცალი	2	5,90	11,80
6	ქართული მითები	ცალი	2	5,90	11,80
7	მე მიყვარს კითხვა-მეფე მათიუშ პირველი	ცალი	2	8,90	17,80
8	ტერი პრეტჩეტი-სატვირთოს გამტაცებლები	ცალი	1	8,95	8,95
9	ჰარპერ ლი-ნუ მოკლავ ჯაფარას2	ცალი	2	14,90	29,80
10	როულინგი-ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი	ცალი	2	17,90	35,80
11	ნილ გეიმანი-ოკეანე ქუჩის ბოლოს	ცალი	2	11,90	23,80
12	ჟ.ვერნი-80 000კმ. წყალქვეშ	ცალი	2	9,95	19,90
13	რეი ბრედბერი-451 ფარენგეიტი ტ.48	ცალი	1	12,00	12,00
14	პორტალი 451-ფარენჰეიტით-რეი ბრედბერი	ცალი	1	14,95	14,95
15	დ. ტურაშვილი-გურჯი ხათუნი	ცალი	2	14,95	29,90
16	ერიხ მარია რემარკი-სამი მეგობარი	ცალი	2	12,95	25,90
17	ანა გავალდა 35 კილო იმედი	ცალი	2	9,90	19,80
18	ჯონ ბოინი-ბიჭი ზოლიან პიჟამოში	ცალი	2	12,90	25,80
19	ტერი პერჩეტი-სატვირთოს გამტაცებლები	ცალი	1	11,90	11,90
20	სალომე ბენიზე-ქალაქი წყალზე	ცალი	2	12,90	25,80
21	ქეთრინ პატერსონი-ხიდი ტერაბიტიასი	ცალი	2	12,90	25,80
22	დიანა ამფიმიადი-წინასწარმეტყველება მურაბით	ცალი	2	9,90	19,80
23	ნატო დავიტასვილი-აიას გზა	ცალი	2	11,90	23,80
24	აიზეკ აზიმოვი-მე-რობოტი	ცალი	2	13,90	27,80
25	ნატოდავითაშვილი-ოთხი მხარე და ოტხი სვეტი	ცალი	1	14,90	14,90

26	ალ.დიომა-გრაფი მონტე კრისტო	ცალი	1	24,90	24,90
27	რემარკი-ტრიუმფალური თაღი	ცალი	2	12,00	24
28	ჯორჯ ორეული 1984	ცალი	1	12,00	12
29	ჰემინგუე-მშვიდობით იარაღო	ცალი	2	12,00	24
30	მარკესი-მარტოობის 100 წელი ტ.43	ცალი	2	12,00	24
32	ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა	ცალი	2	12,00	24
33	ჯ. ოსტინი-გონება და გრძნობა	ცალი	2	12,00	24
34	ს. მოემი-ჭრელი საბურველი	ცალი	2	12,00	24
35	ჯ.ლონდონი-დიდი სახლის პატარა დიასახლისი	ცალი	2	12,00	24
36	ჰოსეინი-1000 მოელვარე მზე	ცალი	2	21,95	43,9
37	ოსკარ უაილდი-დორიან გრეის პორტრეტი	ცალი	2	11,95	23,9
38	ბალზაკი-შაგრენის ტყავი	ცალი	2	11,95	23,9
39	ლ.ტოლსტოი-აღდგომა	ცალი	3	13,95	27,9
40	საბა ტაჰირი-ნაპერწკალი ფერფლში	ცალი	2	13,99	27,9
41	კაზუ იშიგურო-არასოდეს გამიშვა	ცალი	2	11,95	23,9
42	ლეილა სალამანი-იავნანა	ცალი	2	11,90	23,9
43	გოდერძი ჩოხელი ადამიანის სევდა	ცალი	2	6,00	12
44	ჭილაძე-გზაზე ერთი კაცი მიდიოდა	ცალი	1	25,00	50
45	ნატო დავითაშვილი-ორსის ორდენის სამხეცე	ცალი	2	12,90	25,8
46	მარკუს ზუზაკი-წიგნის ქურდი	ცალი	2	16,00	32
47	გოეთე-ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი ტ.36	ცალი	1	12,00	24
48	ფიცჯერალდი-ნაზია ღამე	ცალი	2	12,00	24
49	ვირჯინია ვულფი მისის დოლოვეი	ცალი	2	15,00	30
50	ჯორჯ ორეული 2 1984	ცალი	1	13,99	27,98
სულ ღირებულება					1091,92

სულ: ერთიათასოთხმოსდათერთმეტი ლარი 92 თეთრი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ
ფერიის საჯარო სკოლა

დირექტორი /ლ.დუმბაძე/

ინდ.მეწარმე;„მ.გურგენაძე“
ხელმძღვანელი: /მ.გურგენაძე/